USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №40
იანვარი, 2023

თბილისი, 2023

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ზურაბ შელია

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №40 ბიულეტენს. მასში აღწერილია დეკემბერში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები

ევროპარლამენტმა 18 იანვარს მიიღო რეზოლუციები ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის, ასევე ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის განხორციელების შესახებ.[1] რეზოლუციები ადასტურებს, რომ უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს, ასევე დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების მოსახლეობის მომავალი ევროკავშირშია.[2]

ელისეის ხელშეკრულების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით 22 იანვარს გამოქვეყნებული ფრანგულ-გერმანული დეკლარაციის თანახმად, გერმანია და საფრანგეთი მხარს უჭერენ უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის ევროპულ მისწრაფებებს.[3] დოკუმენტში ორი ქვეყანა ხაზს უსვამს ნატოსა და ევროკავშირის აღმოსავლურ ფლანგზე მათ გაძლიერებულ ჩართულობას.[4]

„რადიო თავისუფლების" ევროპის ბიუროს რედაქტორმა რიკარდ იოზვიაკმა, რომელიც ევროკომისიის ანგარიშის პროექტს გაეცნო, განაცხადა, რომ ევროკავშირთან დაახლოების ტექნიკური კრიტერიუმების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, საქართველო მოლდოვას და უკრაინას წინ უსწრებს.[5]

2. მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ 26 იანვარს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მიღებული დასკვნით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისთვის ფსიქორეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიის" მიერ დასმული ფსიქიატრიული, გასტროენტეროლოგიური და ნევროლოგიური დიაგნოზები არ არის სარწმუნო და უტყუარი.[6]

---

[1] „საქართველო ევროპარლამენტის რეზოლუციებში", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 19 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/521995, განახლებულია: 03.02.2023.

[2] იქვე.

[3] „საფრანგეთი და გერმანია ასოცირებული ტრიოს ევროპულ გზას მხარს უჭერენ", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 23 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/522263, განახლებულია: 03.02.2023.

[4] იქვე.

[5] „რიკარდ იოზვიაკი: ასოცირების ტექნიკური კრიტერიუმებით საქართველო უკრაინასა და მოლდოვას უსწრებს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 9 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/521008, განახლებულია: 03.02.2023.

[6] „რატი ბრეგაძე: სამხარაულის დასკვნით, სააკაშვილზე „ემპათიის" დიაგნოზები არასანდოა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 27 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/522723, განახლებულია: 03.02.2023.

„ემპათიის“ დირექტორმა მარიამ ჯიშკარიანმა მინისტრის განცხადება ექსპერტიზაზე ზეწოლად და რეპუტაციის შელახვის მცდელობად მიიჩნია.[7] მანვე განმარტა, რომ სამხარაულის ბიურომ მხოლოდ მათი დასკვნა შეაფასა და სააკაშვილისთვის შესაბამისი ექსპერტიზა არ ჩაუტარებია.[8] ჯიშკარიანმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ, „ემპათიის“ მიერ დასმული ნევროლოგიური და გასტროენტეროლოგიური დიაგნოზები იუსტიციის სამინისტროს, კლინიკა „ვივამედისა“ და გორის ჰოსპიტლის დიაგნოზებს სრულად ემთხვევა.[9]

მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, მისი გათავისუფლებისა ან სასჯელის გადავადების შუამდგომლობით ადვოკატებმა სასამართლოს სწორედ ცენტრ „ემპათიის“ დასკვნის საფუძველზე მიმართეს.[10] საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვა დეკემბრის ბოლოს დაიწყო. ჩატარდა რამდენიმე სხდომა, რომლებზეც ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტები გამოჰკითხეს.[11]

პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის თქმით მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით „ემპათიის“ დიაგნოზები სარწმუნო და უტყუარი არ არის.[12] პარლამენტის ვიცესპიკერმა გიორგი ვოლსკიმ მიიჩნია, რომ ცენტრი „ემპათია“ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნაში კონკრეტულ მხარეს წარმოადგენს.[13]

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” თავმჯდომარემ ლევან ხაბეიშვილმა კლინიკა „ვივამედთან” მედიას განუცხადა, რომ პარტია მზად არის, მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების სანაცვლოდ, პარლამენტი და საკრებულოები დატოვოს.[14]

3. მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის საქმე

26 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლებისა და პარტია „ლელოს“ ლიდერების - მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის, ასევე „ტელეკომპანია პირველის“ დამფუძნებელ ვატო წერეთლის მამის, ავთანდილ წერეთლის მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ე.წ. ფულის გათეთრების საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება.[15]

პირველი ინსტანციის სასამართლომ ხაზარაძე, ჯაფარიძე და წერეთელი 2022 წლის 12 იანვარს გაამტყუნა, თუმცა ფულის გათეთრების მუხლი თაღლითობის მუხლით[16] გადააკვალიფიცირა და სამივე მათგანს 7-7-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ისინი სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდნენ.[17]

---

[7] იქვე.
[8] იქვე.
[9] იქვე.
[10] იქვე.
[11] იქვე.
[12] „შალვა პაპუაშვილი - სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა არ მჭირდება იმისთვის, რომ „ემპათიის“ დასკვნებში ეჭვი მეპარებოდეს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2023 წლის 27 იანვარი, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3XeQxFC, განახლებულია: 08.02.2023.
[13] „გიორგი ვოლსკი „ემპათიაზე“: პირდაპირ შეიძლება დაარქვა ამ ორგანიზაციას მხარე“, საინფორმაციო პორტალი „Imedinews”, 2023 წლის 27 იანვარი, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/40FBasF, განახლებულია: 08.02.2023.
[14] „ხაბეიშვილის თქმით, სააკაშვილის გათავისუფლების სანაცვლოდ ენმ მზადაა, მანდატები დათმოს და ოფისები „ოცნებას” გადაუფორმოს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 31 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32247680.html, განახლებულია: 08.02.2023.
[15] „სააპელაციომ ხაზარაძე-ჯაფარიძის განაჩენი უცვლელად დატოვა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 26 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/522625, განახლებულია: 03.02.2023.
[16] სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი.
[17] „სააპელაციომ ხაზარაძე-ჯაფარიძის განაჩენი უცვლელად დატოვა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“.

4. ოპოზიციისა და საზოგადოების ნაწილი „ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას“ იწყებს

პარტიების - „დროას“, „სტრატეგია აღმაშენებლისა“ და „გირჩი - მეტი თავისუფლების“ ლიდერები, საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, 23 იანვარს რუსთაველის გამზირზე, პირველი კლასიკური გიმნაზიის წინ შეიკრიბნენ და ახალი „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ დაწყების შესახებ განაცხადეს, რომელიც, მათივე თქმით, კოლაბორაციონიზმის დასრულებითა და მიტაცებული ხელისუფლების ხალხისთვის დაბრუნებით დასრულდება.[18] ამ მიზნით, მათ, სიმბოლურად, 24 თებერვალს, უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის დღეს უკრაინელი ხალხის მიმართ სოლიდარობის აქცია დაგეგმეს.[19] მათივე თქმით, დემონსტრაციები იქნება „მზარდი“.[20]

5. ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობები

31 იანვარს საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების”, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსა” და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” შეფასება გამოქვეყნდა.[21]

2022 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტები, რომლებიც საარჩევნო კოდექსსა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონებში ცვლილებებს ითვალისწინებდა.[22] 10 ოქტომბერს კანონპროექტები პარლამენტის თავმჯდომარემ ვენეციის კომისიასა და ეუთო/ოდირს გაუგზავნა და მოსაზრებების დაჩქარებული წესით მომზადება სთხოვა.[23]

19 დეკემბერს ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა გაგზავნილი კანონპროექტების შესახებ საკუთარი მოსაზრება გამოაქვეყნეს. პარლამენტმა, ამ რეკომენდაციების საფუძველზე, კანონპროექტებში გარკვეული ცვლილებები შეიტანა, რომლებიც, საბოლოოდ, 22 დეკემბერს მესამე მოსმენით მიიღო.[24]

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების”, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსა” და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” შეფასებით, **მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, როგორც ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების, ისე ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მიერ იდენტიფიცირებულ არაერთ პრობლემას პასუხობს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, სრულად არ არის გათვალისწინებული ყველა არსებითი ხასიათის მითითება, მათ შორის, არ აისახა იმ რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი, რომლებიც ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა 2022 წლის დეკემბერში წარმოადგინეს.**[25] მათი ერთობლივი შეფასებით, განხორციელებული რეფორმა საარჩევნო კოდექსის ყოვლისმომცველ ანალიზს არ ეფუძნება და მხოლოდ ცალკეულ საკითხებს შეეხება.[26]

---

[18] „ოპოზიციისა და საზოგადოების ნაწილი „ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას“ იწყებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 26 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/522219, განახლებულია: 03.02.2023.

[19] იქვე.

[20] იქვე.

[21] „საარჩევნო კანონმდებლობაში 2022 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებების შეფასება“, ISFED-ის ვებგვერდი, 2023 წლის 31 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://isfed.ge/geo/angarishebi/saarchevno-, განახლებულია: 03.02.2023.

[22] იქვე.

[23] იქვე.

[24] იქვე.

[25] იქვე.

[26] იქვე.

გარკვეული დათქმებით, დადებითად შეიძლება შეფასდეს ისეთი ცვლილებები, როგორებიცაა: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის სავალდებულო სერტიფიცირების შემოღება; საჩივრების/სარჩელების წარდგენისა და განხილვის ზოგიერთი ვადის გახანგრძლივება; გადასატანი ყუთით ხმის მიცემის პროცესში ამომრჩევლის მარკირების შემოღება; პარტიების წლიურ ხარჯებზე დაწესებული ზედა ზღვრის განახევრება; ადგილობრივ არჩევნებზე კანდიდატებისთვის ბინადრობის ცენზის შემცირება; ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისთვის დაწესებული ჯარიმის ოდენობის გაზრდა; პროფესიული ნიშნით ასარჩევი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების თანამდებობრივი შეუთავსებლობის საფუძვლების გაფართოება; შედეგების შემაჯამებელ ოქმში დისბალანსის არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის გახსნის და ხმების გადათვლის იმპერატიული ვალდებულების გაჩენა. გარდა ამისა, ზოგადად, მისასალმებელია საარჩევნო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით რეგულაციები იყოს უფრო ცხადი, ყოვლისმომცველი და, რაც შეიძლება, ნაკლები საკითხი მიეკუთვნებოდეს ცესკოს დისკრეციას.[27]

ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა ერთობლივ დასკვნაში მიუთითეს, რომ მოცემული ცვლილებები არის საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების გათვალისწინების ნაწილობრივი მცდელობა.[28] დასკვნის მიხედვით, კანონპროექტი არ ეფუძნება საარჩევნო კოდექსის ყოვლისმომცველ ანალიზს და შეეხება მხოლოდ შერჩეულ საკითხებს.[29]

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის არსებითი ხასიათის რეკომენდაციებიდან, რომლებიც მიღებულ ცვლილებებში საერთოდ არ ასახულა, აღსანიშნავია ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევის და უფლებამოსილების გახანგრძლივების ნაკლოვანი რეგულაციები, ასევე პოლიტიკური პარტიებისთვის საბიუჯეტო დაფინანსების ჩამორთმევის შესაძლებლობა, რომელიც უსამართლოა და საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. ამასთანავე, არ ყოფილა გათვალისწინებული განმეორებადი რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდება საარჩევნო კომისიების ქვედა დონეზე პროფესიული წევრების არჩევას და ამ პროცესის გამჭვირვალობას. [30]

ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა ერთობლივ დასკვნაში ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიღებული პროექტი ვერ პასუხობდა ისეთ მნიშვნელოვან გამოწვევებს, როგორებიცაა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, ამომრჩევლის დაშინება, ხმების გადათვლისა და შედეგების გაბათილებისთვის არასაკმარისი კრიტერიუმების არსებობა.[31] გარდა ამისა, მათი შეფასებით, საჭიროა, სამომავლოდ განხორციელდეს ყოვლისმომცველი და ინკლუზიური საარჩევნო რეფორმა, რომელიც დაეფუძნება საარჩევნო კანონმდებლობისა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების სრულ და სიღრმისეულ ანალიზს.[32] საარჩევნო რეფორმის დროს მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის როგორც ცალკეულ კანონპროექტებზე დაწერილი დასკვნები, ისე საარჩევნო სადამკვირვებლო მისიების მიერ სხვადასხვა დროს წარმოდგენილი რეკომენდაციები.[33]

---

[27] იქვე.

[28] ერთობლივი მოსაზრების პროექტი საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის ცვლილების პროექტსა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის ცვლილების პროექტის შესახებ, ევროპის კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია), ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიურო (ეუთო/ODIHR), პარაგრაფი 10.

[29] იქვე.

[30] „საარჩევნო კანონმდებლობაში 2022 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებების შეფასება“, ISFED-ის ვებგვერდი.

[31] იქვე.

[32] იქვე.

[33] იქვე.

6. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის არჩევნები

ოპოზიციური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ენმ) ახალი თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი გახდა, მან ამომრჩევლის ხმების 52.58% მიიღო.[34] ამის შესახებ 30 იანვარს პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე ენმ-ის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარემ კობა ნაყოფიამ განაცხადა.[35]

არჩევნებში 4 კანდიდატი მონაწილეობდა. მოქმედმა თავმჯდომარემ ნიკა მელიამ ხმების 40% მიიღო, ნონა მამულაშვილმა - 3.73%, გიორგი მუმლაძემ კი - 3.68%.[36]

კობა ნაყოფიას განმარტებით, კანონმდებლობისა და პარტიის წესდების მიხედვით, არჩევნების შემდეგ პარტიის ყრილობა უნდა ჩატარდეს, რომელიც არჩევნების შემაჯამებელ ოქმს გაიზიარებს და უკვე ამის შემდგომ ახალი თავმჯდომარე შეუდგება საქმიანობას.[37]

პარტიის თავმჯდომარის შიდა არჩევნები ენმ-ში 2023 წლის 28-29 იანვარს ე.წ. ბლოკჩეინ-სისტემით ჩატარდა.[38] საარჩევნო სისტემაში რეგისტრაცია 49 756 ადამიანმა გაიარა.[39]

---

[34] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ახალი თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი გახდა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 30 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/522935, განახლებულია: 03.02.2023.

[35] იქვე.

[36] იქვე.

[37] იქვე.

[38] „ნაციონალური მოძრაობის“ შიდაპარტიული არჩევნებისთვის რეგისტრაცია დასრულდა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 26 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32240731.html, განახლებულია: 03.02.2023.

[39] იქვე.